

თაღლითობის დანაშაულზე არსებული მტკიცებითი სტანდარტები და მტკიცებულებათა მოპოვების ფორმირთი თავისებურება

 <https://doi.org/10.52340/26679434/H.12.8>

თამარი ჩინჩალაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორი,
საქართველო, თბილისი

ელფოსტა: tchinchaladze@pog.gov.ge

აბსტრაქტი

ტექნოლოგიური განვითარების ეპოქაში თაღლითობის დანაშაულის ჩამდენ პირთა იდენტიფიკაცია და მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მნიშვნელოვანი გამოწვევაა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთვის და მათ შორის საქართველოსთვის. დანაშაულის ჩამდენი პირები დანაშაულის ჩასადენად იყენებენ როგორც სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს, ასევე კომპიუტერულ სისტემებს, რომელთა მეშვეობითაც მოტყუებით ეუფლებიან სხვა პირთა საკუთრებას.

ნაშრომის აქტუალურობას განაპირობებს თაღლითობის, როგორც ტრანსნაციონალური დანაშაულის გავრცელების მასშტაბები და დაზარალებულის დამოკიდებულება დანაშაულის მიერ ჩადენილი ქმედების მიმართ. მიუხედავად არაერთი საკანონმდებლო ცვლილებისა, პრობლემურია თაღლითობის დანაშაულთან დაკავშირებული გარკვეული მტკიცებულებების მოპოვების საკითხი.

ნაშრომი ძირითადად უკავშირდება თაღლითობის დანაშაულების მტკიცებით სტანდარტებს. გაანალიზებულია კონკრეტული მტკიცებულებები, რომელთა მოპოვება, სასამართლოში წარდგენა და გამოკვლევა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ნაშრომში გაანალიზებულია კონკრეტული მტკიცებულებების მნიშვნელობა გამოძიების და სასამართლო განხილვის პროცესში, წამოჭრილია პრობლემები, რომლებსაც ბრალდების მხარე (პროკურორი და გამომძიებელი) აწყდება პრაქტიკაში და მოცემულია მათი გადაწყვეტის ალტერნატიული გზები.

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული მტკიცებულებები, წერილობითი შეთანხმება, მოწმის/დაზარალებულის ჩვენება, კომპიუტერული მონაცემი

EXISTING EVIDENTIARY STANDARDS FOR THE CRIME OF FRAUD AND SOME CHARACTERISTICS OF EVIDENCE COLLECTION

 <https://doi.org/10.52340/26679434/H.12.8>

Tamari Chinchaladze

*PhD student at Doctoral programme of Law at Eastern European University,
Prosecutor of the Vake-Saburtalo District Prosecutor's Office of Tbilisi,
Georgia, Tbilisi*

Email: tchinchaladze@pog.gov.ge

Tamari Chinchaladze

ABSTRACT

In the era of technological development, the identification of fraud perpetrators and the implementation of criminal prosecution against them is a significant challenge for all States of the world, including Georgia. To commit crimes, perpetrators use both civil legal relations and computer systems, through which they fraudulently acquire the property of other persons.

The relevance of the work is determined by the scale of the incidence of fraud as a transnational crime and the attitude of the victim towards the actions committed by the perpetrator. Despite numerous legislative changes, the issue of obtaining certain evidence related to the crime of fraud remains problematic.

The paper mainly concerns the standards of proof of fraud crimes. Specific evidence is analyzed, the acquisition, presentation, and examination of which is associated with certain difficulties.

The paper analyzes the importance of concrete evidence in the investigation and trial process, raises problems that the prosecution (prosecutors and investigators) faces in practice, and provides alternative ways to resolve them.

KEYWORDS: Electronic evidence, Written agreement, Witness/victim testimony, Computer technology

შენსავალი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის¹ მიხედვით თაღლითობა არის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, რა დროსაც ნივთის/ქონებრივი უფლების მესაკუთრე/მფლობელი დამნაშავეს განზრახ შეჰყავს შეცდომაში, რათა დაეუფლოს მის ნივთს/ქონებრივ უფლებას. ხშირ შემთხვევაში მოტყუება გამოყენებულია როგორც სამოქალაქო გარიგების დადების საფუძველი, რაც თავად გარიგებასაც საცილოს ხდის. სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულების დარღვევის და თაღლითობის ერთმანეთისგან გამიჯვნა უნდა მოხდეს საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, მხარეთა მიერ მოპოვებული მტკიცებულების გამოკვლევისა და ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული კი საკმაოდ პრობლემურია, რადგანაც საქმეთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ან უდავო წარმოებით სრულდება და ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, ან კიდევ მასთან ფორმდება საპროცესო შეთანხმება.

კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული მტკიცებულებების ჩამონათვალი, რომლებიც ბრალდების მხარის მიერ უნდა იყოს წარდგენილი თაღლითობის დანაშაულის არსებობის დასამტკიცებლად.

ნაშრომის აქტუალობა: წინამდებარე ნაშრომში განხილულია მტკიცების საგანი და ფარგლები, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტები, რომლის დაკმაყოფილებაც მხარეებს უწევთ საქმის განხილვის კონკრეტულ ეტაპზე. წარმოჩენილია თაღლითობის დანაშაულის სპეციფიკა, დაზარალებულის მიერ მიცემული ჩვენების მტკიცებულებითი ძალა. გაანალიზებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა, რადგანაც საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებით მათი პროცესი ინკვიზიციური ხასიათისაა და მტკიცებულების მოპოვება და გამოკვლევა უმეტესწილად სასამართლოზეა დამოკიდებული. საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენების ანალიზის საფუძველზე გაზრებულია დღევანდელი კანონმდებლობის ფარგლებში განსახილველი დანაშაულის მტკიცების პროცესის დადებითი და უარყოფითი მხარეები, გამოვლენილია გარკვეული ხარვეზები ამ სახის დანაშაულების მტკიცების ფარგლებთან დაკავშირებით და შემოთავაზებულია პრობლემის გადაჭრის გზები.

ლიტერატურის მიმოხილვა: თაღლითობის კვალიფიკაცია და მისი სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულებისგან გამიჯვნა 21-ე საუკუნის პრობლემაა. ცალკეულ მტკიცებულებებსა და მტკიცებით სამართალზე არაერთი ნაშრომი არსებობს, მაგრამ მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს საქართველოს პრაქტიკაში არსებულ პრობლემებზე, რომლებსაც პრაქტიკოსი იურისტები, მათ შორის პროკურორები აწყებიან ყოველდღიურად. დღის წესრიგში დგას თაღლითობის დანაშაულებთან დაკავშირებული მტკიცებულებების მოპოვების პრობლემის კომპლექსური ანალიზის საჭიროება, პრაქტიკაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის გზების ძებნა რეკომენდაციების და საკანონმდებლო ცვლილებების გზით. ნაშრომში გამოყენებულია ქართულენოვანი და უცხოენოვანი წყაროები.

1 მუხლი 180, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=286>> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

მეთოდოლოგია: ნაშრომში გამოყენებულია ზოგადმეცნიერული ლოგიკური მეთოდები (ანალიზი, სინთეზი, ინდუქცია, დედუქცია). შედარებით-სამართლებრივ – დოგმატური და კომპარატიული მეთოდების გამოყენებით გაანალიზებულია საქართველოს და გერმანიის კანონმდებლობა და პრაქტიკა, რათა გამოიკვეთოს განსხვავებები და საერთო ტენდენციები. აქცენტი კეთდება პროცესის ინტეგრირებულობაზე – თუ როგორ მოქმედებს მტკიცებულებების მოპოვების წესი სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფაზე. ასევე, გაანალიზებულია სასამართლოს მიერ მიღებული რამდენიმე გადაწყვეტილება, დაზარალებულის/მოწმეთა ჩვენების სანდოობის შეფასებასთან დაკავშირებით.

1. მტკიცების ფარგლები და სტანდარტები სისხლის სამართლის პროცესში

1.1 მტკიცების ფარგლები შეჯიბრებით პროცესში

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილისა² და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) მე-9 მუხლის³ მიხედვით, სასამართლოში საქმის განხილვა შერეული პროცესიდან წმინდა შეჯიბრებით პროცესზე გადავი-

და. რაც იმას ნიშნავს, რომ პროკურორის მიერ ბრალდებულის მიმართ სისხლის-სამართლებრივი დევნის დაწყების მომენტიდან სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა შეჯიბრობითობისა და თანასწორობის საფუძველზე. 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისგან განსხვავებით დაზარალებული მხარეს აღარ წარმოადგენს და საქმის წარმოებაში მხოლოდ ბრალდების და დაცვის მხარე მონაწილეობს:

„შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, პირველ რიგში, გულისხმობს მხარის უფლებას „იყოს მოსმენილი“.⁴ მოცემული პრინციპის საფუძველზე პროცესში მონაწილე ორივე მხარე უზრუნველყოფილია თანაბარი შესაძლებლობით, სასამართლოს ჩარევის გარეშე⁵ აწარმოოს „საკუთარი გამოძიება“. „შესაბამისად, შეჯიბრებითი პროცესის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ მოსამართლე არ არის უფლებამოსილი, თავის თავზე აიღოს ბრალდების ან დაცვის ფუნქცია.“⁶ საფრანგეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული გამოძიების პროცედურა განსხვავდება საქართველოს და ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნების საქმის წარმოებისაგან. კერძოდ, წინასწარ გამოძიებაში საქმეს ზედამხედველობს მაგისტრალი მოსამართლე, რომელიც დამოუკიდებლად იკვლევს მტკიცებულებებს:

2 შეადარე. საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

3 მუხლი 9, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=172>> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

4 ფაფიაშვილი, ლ. და სხვები, 2015. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. ამერიკის იურისტთა ასოციაცია. თბილისი: გვ. 84.

5 შეადარე. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №652აპ-15).

6 გურიელი, ა., 2016. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები, როგორც სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის საშუალება სისხლის სამართლის პროცესში. სამართალი და მსოფლიო, 5, გვ. 48-49.

ინვეს დასაკითხად პირებს, კითხავს ბრალდებულს და ატარებს ექსპერტიზებს.⁷

„მტკიცების გარეშე სისხლის სამართლის პროცესი წარმოუდგენელია, რადგან ასეთ შემთხვევაში ის არსებითად იქნებოდა მხოლოდ გროვა თეორიული პოსტულატებისა თვით სისხლის სამართლის პროცესის, მის წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების, მათი მიღწევის შესაძლო საშუალებებისა და ხერხების შესახებ, მაგრამ არა იმის თაობაზე, თუ ვინ, როგორ და რა პრაქტიკული საქმიანობის საშუალებით უნდა განახორციელოს ეს ყველაფერი“.⁸ მტკიცება არის საერთო დასკვნების დასაბუთება, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებასთან.⁹

მტკიცება ეს არის მტკიცების სუბიექტების მოქმედება კანონიერი, ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო-საკმარისი მტკიცებულებების კანონიერად მოპოვების – აღმოჩენის, დაფიქსირების, დამაგრების, ამოღების, დაგროვების, შემოწმების, შენახვის, სისტემატიზირების, შესწავლა-განალიზების, შეფასებისა და გამოყენების მიზნით.¹⁰

„მტკიცების ფარგლების“ კონცეფციის ანალიზისას მნიშვნელოვანია განვიხილოთ იგი, როგორც მტკიცების პროცესის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს მტკი-

ცებულებათა სანდოობას, კანონიერად მოპოვებას, საკმარისობას და აუცილებელია საქმის ყველა გარემოების დასადგენად. აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა განიმარტოს შემდეგი ელემენტები: 1. **მტკიცებულებათა ერთობლიობა** – მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც მოსამართლის მიერ კომპლექსურ შეფასებას მოითხოვს; 2. მტკიცების ფარგლები და მტკიცებულებათა საკმარისობა – **რაოდენობრივი საზღვრები, რომელიც განსაზღვრავს, თუ რამდენი მტკიცებულებაა საკმარისი სასამართლოს და მხარის მიერ უტყუარი დასკვნის გასაკეთებლად**, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების არსებობის ან არარსებობის შესახებ; 3. **თვისობრივი მხარე** – რამდენად სანდო, კანონიერად მოპოვებული და დამაჯერებელია ეს მტკიცებულებები.

საქართველოს სსსკ-ისგან განსხვავებით გერმანიის საპროცესო კანონმდებლობა ადგენს ინკვიზიციურ პროცესს, რადროსაც მხარეების უფლებამოსილებაა მტკიცებულებების მოპოვება, ხოლო სასამართლოს ვალდებულება აქვს გამოიკვლიოს მათი მოპოვების კანონიერება და საქმესთან შემხებლობა, მხარეთა მიერ მტკიცებულებების მოპოვება არ გამორიცხავს მოსამართლის ვალდებულებას, მოიპოვოს საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად საკმარისი

7 GARNER, JAMES, W., 1916. CRIMINAL PROCEDURE IN FRANCE. 25 YALE LAW JOURNAL, 4, გვ. 256-257. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://openyls.law.yale.edu/server/api/core/bitstreams/4c3467d3-242c-4b5d-a402-c891adf62f9b/content>> [წვდომის თარიღი 10.11.2025]. აღნიშნულ თემაზე ვრცლად იხილეთ გუცენკო, კ. ფ., გოლოვკო, ლ. ვ. და ფილომონოვი, ბ. ა., 2007. დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 424-447.

8 ოშხარელი, მ., 2018, მტკიცების არსი სისხლის სამართლის პროცესში და მისი მნიშვნელობა. მართლმსაჯულება და კანონი, 1(57), გვ. 80.

9 იქვე, გვ. 83.

10 გაბისონია, ი. და გაბელია, ჯ., 2019. მტკიცებულებითი საქმიანობის როლი და დანიშნულება სისხლის სამართლის პროცესში, საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „იურისტი“, 7, თბილისი: 2019, გვ. 41-42.

მტკიცებულებები და დააფუძნოს მასზე გამამტყუნებელი განაჩენი.¹¹

საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილის მიხედვით მტკიცებულება არის კანონით დადგენილი წესით მოპოვებულ-შექმნილი ინფორმაცია, ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელთა მეშვეობითაც მხარეები ასრულებენ მოვალეობებს, ადასტურებენ/უარყოფენ ფაქტებს და სამართლებრივად აფასებენ მათ. მათი გამოკვლევის საფუძველზე სასამართლო ადგენს – არსებობს თუ არა დანაშაული, ჩაიდინა თუ არა იგი ბრალუნარიანმა პირმა, ხომ არ არსებობს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი სხვა გარემოება, ასევე სახეზეა თუ არა რაიმე გარემოება, რომელიც უნდა გაითვალისწინოს სასჯელის განსაზღვრისას.¹²

საქართველოს სსსკ იცნობს შემდეგი სახის მტკიცებულებებს: მოწმის ჩვენება; ბრალდებულის ჩვენება; ირიბი ჩვენება; ნივთიერი მტკიცებულება; დოკუმენტი, როგორც მტკიცებულება; ექსპერტიზის დასკვნა; პრეიუდიცია.¹³ გერმანული მტკიცების სამართლის თეორიისგან

განსხვავებით საპროცესო სამართალი განსაზღვრავს იმ მტკიცებულებების ჩამონათვალს, რომელთა წარდგენაც მხარეებს შეუძლიათ სასამართლოში საქმის წარმოებისას (ე.წ. *numerus clauses* პრინციპი).¹⁴

საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის¹⁵ მიხედვით მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. მიუხედავად ამისა, პირდაპირ და არაპირდაპირ მათი რანგირება, საქმისწარმოების საწყისი ეტაპიდანვე მათთვის გარკვეული ძალის მინიჭებას ნიშნავს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს¹⁶ გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მან არ ცნო სანდოდ ირიბი ჩვენება იმ მოტივით, რომ მისი გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს და დასაშვებია გამონაკლის შემთხვევებში. აღნიშნულით წინასწარ განისაზღვრა ირიბი ჩვენების მტკიცებულებითი ძალა, რადგანაც აღნიშნულ გადაწყვეტილებაში გაწერილი ნორმის არაკონსტიტუციურობის დასაბუთება წარმოადგენს სამართლის წყაროს

11 Weigend, T, 2019. The Potential to Secure a Fair Trial Through Evidence Exclusion: A German Perspective, გვ. 61-91. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://scispace.com/papers/the-potential-to-secure-a-fair-trial-through-evidence-3auih9auw5>> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

12 შეადარე. მუხლი 3, ნაწილი 23, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=172>> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

13 მუხლები 73-78, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=172>> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

14 გერმანული მტკიცების სამართლის თეორიისთვის უცხოა მტკიცებულებების განსაზღვრა ნორმატიულ დონეზე. დაწვრილებით იხილეთ გუცენკო, კ.ფ., გოლოვკო, ლ.ვ. და ფილომონოვი, ბ.ა., 2007. დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი. თბილისი: მერიდიანი. გვ. 515.

15 ნაწილი 1, მუხლი 13, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=172>> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

16 დაწვრილებით იხილეთ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №1/1/548).

მანამ, სანამ პარლამენტი მას ახლით არ ჩაანაცვლებს.¹⁷ შესაბამისად, ირიბი მტკიცებულების საქმეში არსებობა, ფორმალური ხასიათისაა, რადგანაც სასამართლო მას ვერ დააყრდნობს გამამტყუნებელ განაჩენს.

„ჩვენ ვერ გავხდებით მოწმენი უშუალოდ წარსულში მომხდარი მოვლენის და ამიტომ უნდა დავკმაყოფილოდეთ მხოლოდ ამ მოვლენის გაშუალებული შესწავლით.“¹⁸ ფაქტობრივი მონაცემების დადგენის მიზნით საქართველოს სსსკ-ი აწესებს ნორმათა ერთობლიობას დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შეკრებასთან, დამაგრებასთან, შემოწმებასა და შეფასებასთან დაკავშირებით, რომელთაც მტკიცებით სამართალს უწოდებენ. იგი საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას ემსახურება.¹⁹

საბოლოოდ, შესაძლებელია ითქვას, რომ სსსკ-ის მიხედვით მტკიცების ფარგლებს განსაზღვრავს ბრალდების მხარე გამოძიებისას, ხოლო სასამართლო აფასებს საკმარისია თუ არა მტკიცებულებები გამამტყუნებელი განაჩენისთვის. მტკიცებითი სამართალი კი ეხმარება პროცესის მონაწილეებს შემთხვევის ადგილზე განვითარებული მოვლენების, შეძლებისდაგვარად, სრულად წარმოდგენაში.

1.2 მტკიცების სტანდარტები სისხლის სამართლის პროცესში

საქართველოს სსსკ-ში მტკიცებულების სტანდარტი არის ის კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც სასამართლო

წყვეტს, საკმარისი და უტყუარია თუ არა წარმოდგენილი მასალები ბრალდებულის პასუხისმგებლობის დასადგენად ან/და კონკრეტული გარემოების დასამტკიცებლად. იგი განსაზღვრავს ალბათობის რაოდენობრივ და თვისობრივ ზღვარს, რომლის გადალახვის შემდეგ გარემოება შეიძლება ჩაითვალოს დამტკიცებულად და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება – კანონიერად.

მტკიცების საგანი და სტანდარტები განსხვავდება საქმის განხილვის ეტაპების მიხედვით. მტკიცების საგანი განისაზღვრება ობიექტით, თუ რა უნდა დამტკიცდეს, ხოლო სტანდარტი მოიცავს ფარგლებს – რამდენად მყარად უნდა დამტკიცდეს. იგი ზღუდავს შემფასებლის სუბიექტურობას და მოითხოვს, რომ „შინაგანი რწმენა“ იყოს ნორმებზე და მტკიცებულებათა ერთობლიობაზე დაფუძნებული, არა ინტუიციისაზე. მოქმედი კანონმდებლობა იცნობს: დასაბუთებული ვარაუდის, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის, ალბათობის მაღალი ხარისხისა და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტებს.

დასაბუთებული ვარაუდი²⁰ – არის ობიექტური-მიუკერძოებელი პირისთვის საკმარისი, ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული შესაძლო მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც საკმარისია ვარაუდისთვის, რომ დანაშაული კონკრეტული პირის მიერაა ჩადენილი. აღნიშნული სტანდარტი გამოიყენება საქართველოს სსსკ-ით პირდაპირ გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარები-

17 ჯორბენაძე, ო., 2007. სამოსამართლო სამართლის პრობლემა. თბილისი: ლეთა, გვ. 46-47.

18 ქათამაძე, ე., 2014. მტკიცების პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება 6, კავკასიის უნივერსიტეტი, გვ. 7-8.

19 ლომსაძე, მ., 2015. სისხლის სამართლის პროცესი. მეხუთე გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: ბონა კაუზა, გვ. 99.

20 ნაწილი 11, მუხლი 3, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=172>> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

სა და აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სტანდარტი ყველაზე დაბალი მტკიცებულებითი ხასიათისაა, ბრალდების მხარე ვალდებულია წარადგინოს კანონის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და საქმეზე დამაგრებული – უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა. „როგორც ვხედავთ, მტკიცების პროცესის დროს ყურადღების გამახვილება ხდება ე.წ. „ობიექტურ პირზე“, ობიექტურ დამკვირვებელზე, ანუ საშუალო, „ზოგადსტატისტიკურ“ ადამიანზე, რომელსაც არ გააჩნია იურიდიული განათლება ან საქმის გარემოებების ცოდნა; გონიერი ადამიანი, რომელიც პროცესს მიუკერძოებლად, სამართლიანად, ობიექტურად და ყოველგვარ ინტერესთა კონფლიქტის გარეშე უდგება“.²¹

საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებების სტანდარტი²² – გამოიყენება მხოლოდ მოსამართლის მიერ საპროცესო შეთანხმების დროს, რაც გულისხმობს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას საქმის არსებითი განხილვის გარეშე, ბრალდებულის აღიარებასა და იმ მტკიცებულებებზე/ინფორმაციასა თუ ფაქტებზე დაყრდნობით, რომლებიც მხარეებმა წარუდგინეს ერთმანეთს და სასამართლოს. ფაქტობრივად, აღნიშნული სტანდარტი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს უტოლდება.

ახალ სისხლის სამართლის საპრო-

ცესო კოდექსში გვხვდება ალბათობის მაღალი ხარისხის მტკიცებულებითი სტანდარტი, რომლითაც მხოლოდ წინასასამართლო სხდომის მოსამართლე ხელმძღვანელობს პროკურორის მიერ წარდგენილი და წინასასამართლო სხდომის საწყის ეტაპზე დასაშვებად ცნობილი მტკიცებულებებით.²³ მაღალი ალბათობის ხარისხს იცნობდა ძველი სისხლის სამართლის კოდექსიც. „ის სტანდარტი რაც დღეს წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს აქვს ძველი სისხლის სამართლის პროცესში გამოიხატებოდა ე.წ. საბრალდებო დასკვნის სტანდარტში... „საბრალდებო დასკვნა არის ბრალდებულისადმი წაყენებული ბრალდების მოკლე წერილობითი აღწერა და განსასჯელის სამართალში მიცემის საფუძველი“.²⁴

გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ხელმძღვანელობს მოსამართლე გამამტყუნებელი საქმის არსებითი განხილვით განაჩენის გამოტანის დროს. აქაც მინიშნებაა ობიექტურ პირზე და საჭიროა მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელსაც დაეყრდნობა განაჩენი. „გონივრული ეჭვის ზუსტად განსაზღვრა უადრესად რთულია. გონივრული ეჭვი არის ეჭვი, რომელიც დამყარებულია გონებასა და საღ აზრზე და არ არის დამნაშავეობის უბრალო ალბათობა. გონივრული ეჭვი არის ისეთი ეჭვი, რომელიც გონიერ ადამიანს აიძულებს, დაეჭვდეს ამა თუ იმ ქმედებისას. შესაბამისად, გონივრულ ეჭვს

21 გიორგაძე, გ. და ბარამიძე, ა., 2014. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სახელმძღვანელო იურისტებისთვის). ამერიკის იურისტთა ასოციაცია. კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI). თბილისი: მერიდიანი, გვ. 26.

22 ნაწილი 11¹, მუხლი 3, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=172>> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

23 ნაწილი 12, მუხლი 3 და ნაწილი 5, მუხლი 221. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=172>> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

24 მუხლი 409, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.matsne.gov.ge/document/view/31882?publication=51>> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

მიღმა მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა იყოს იმდენად დამაჯერებელი, რომ გონიერმა ადამიანმა შეძლოს მასზე დაყრდნობა და მის მიხედვით მოქმედება.²⁵

საქართველოს სსსკ-ის მე-13 მუხლი მოსამართლეს ავალდებულებს – გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს ურთიერთშეთავსებად, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობით. მხოლოდ ბრალდებულის აღიარებას, თუ იგი არ დასტურდება, სხვა მტკიცებულებით არ დააფუძნოს განაჩენი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ირიბი ჩვენება ვერ დაედება საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს.²⁶ პროცესი მიმდინარეობს საჯაროდ და ზეპირად. მოსამართლემ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა დააყრდნოს სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ მტკიცებულებას. თუ მოწმე ვერ იკითხება არსებითი განხილვის პროცესზე, მის მიერ გამოძიების ეტაპზე მიცემული ჩვენება ქვეყნდება და ის ვერ დაედება განაჩენს საფუძვლად, თუ არ დადასტურდება სხვა მტკიცებულებით.²⁷

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე პროკურორს აქვს ვალდებულება მხარეს გაუცვალოს და სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებათა ერთობლი-

ობა, რომელიც ყველა სტანდარტის დამაყოფილებას შეძლებს.

საქართველოს სსსკ-ისგან განსხვავებით გერმანიის საპროცესო სისტემა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „არსებითი ჭეშმარიტების“ დადგენას, როგორც ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი გამოძიების და სამართლიანი შედეგის საფუძველს, რომლის მიხედვითაც პირველი გამოძიებას აწარმოებს პროკურორი და გამომძიებელი, ხოლო ბრალის წარდგენის შემდგომ სასამართლო ერთვება, როგორც ვალდებული მხარე, მოიპოვოს და გამოიკვლიოს მტკიცებულებები. იმისათვის, რომ სასამართლოს სიმართლის დადგენის პროცესი პროკურორის გამოძიებით წინასწარ არ იყოს განსაზღვრული, სასამართლოს შეუძლია თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს მხოლოდ იმაზე, რაც ითქვა და გაკეთდა საჯარო სასამართლო პროცესზე (ე.წ. დაუყოვნებლივობის პრინციპი)²⁸; გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცალსახად არ აცხადებს, რომ გამამტყუნებელი განაჩენისთვის საჭიროა ბრალდებულის დანაშაულის გონივრულ ეჭვს მიღმა დამტკიცება. ამის ნაცვლად, სსსკ-ის 261-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას გამოაქვს თავისი თავისუფალი გამამტყუნებელი განაჩენის შესაბამისად,

25 გიორგაძე, გ. და ბარამიძე, ა., 2014. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სახელმძღვანელო იურისტებისთვის). ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI). თბილისი: „მერიდიანი“.

26 დეტალურად იხილეთ მუხლი 13, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=172>> [წვდომის თარიღი 10.11.2025]. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №1/1/548).

27 დეტალურად იხილეთ მუხლი 10, მუხლი 14, მუხლი 114, მუხლი 118 და ნაწილი 1, მუხლი 243, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=172>> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

28 German Code of Criminal Procedure, paragraph 244 and 261. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stpo/englisch_stpo.html> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე. ეს სამართლებრივი ნორმა შეესაბამება ინკვიზიციურ პრინციპს, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის პროცესში არცერთ „მხარეს“ არ ეკისრება მტკიცების ტვირთი. თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს არსებული მტკიცებულებების რაციონალურ შეფასებას და, რომ ბრალდებული არ უნდა იქნას გამამტყუნებელი, თუ მოსამართლეს არ აქვს გონივრული ეჭვი მის მიერ დანაშაულის ჩადენისა.²⁹

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ გამამტყუნებელი განაჩენისთვის საქართველოს სსსკ. სავალდებულოდ მიიჩნევა გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტის არსებობას, ხოლო გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს „თავისუფალი მტკიცებულებითი შეფასების“ პრინციპს (freie Beweiswürdigung) და აქცენტს აკეთებს მტკიცებულებების ერთობლიობასა და სუბსტანტიურ სიმართლეზე. თუმცა, საბოლოოდ, საქართველოს სსსკ-ის მსგავსად, გადაწყვეტილება მაინც უნდა ეფუძნებოდეს „in dubio pro reo“-ს პრინციპს, რაც გულისხმობს იმას, რომ ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსსკ-ის 72-ე მუხლი ითვალისწინებს არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების და მის საფუძველზე კანონიერად მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლობას, თუ ის აუარესებს ბრალდებულის მდგომარეობას, აღნიშნული დანაწესისგან განსხვავებით, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 261-ე პარაგრაფის მიხედვით,

სასამართლო იყენებს „პროპორციულობის ფილტრს“, რომლის მიხედვითაც „ის აფასებს დარღვევის სიმძიმეს და შედეგს. თუ დარღვევა მცირეა და მტკიცებულება მაღალი სანდოობისაა, მისი გამოყენება მაინც შეიძლება. შესაბამისად: უკანონო მტკიცებულება შეიძლება გამოყენებულ იქნას, თუ მისი დაუშვებლად ცნობა არაპროპორციულად აზიანებს სიმართლის დადგენას, რაც ზრდის ფაქტობრივი სიმართლის მიღწევის შანსს, თუმცა გარკვეულწილად ამცირებს პროცედურული გარანტიების სიმკაცრეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ ეტაპზე სასამართლო და ბრალდების მხარე იყენებს კონკრეტულ სტანდარტს, რა დროსაც მსჯელობს კანონიერად მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობასა და მათ საკმარისობაზე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას. შეფასების საკითხებში კი საქართველოს და გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

2. მტკიცებულებაები თაღლითობის დანაშაულში

ქართული კანონმდებლობა არ აკეთებს დათქმას მტკიცების საგანსა და ფარგლებზე, მაგრამ ითვალისწინებს გარკვეულ გარემოებათა ჩამონათვალს, რომლის დადგენაც სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სავალდებულოა.

შეუძლებელია ნორმატიულად განისაზღვროს კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებით წარმოებულ საქმეში იმ გარემოებათა ჩამონათვალი, რომლებიც

29 Weigend, T, 2019. The Potential to Secure a Fair Trial Through Evidence Exclusion: A German Perspective, გვ. 62-63. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://scispace.com/papers/the-potential-to-secure-a-fair-trial-through-evidence-3auih9auw5>> [ნვდომის თარიღი 10.11.2025].

ბრალდების მხარემ უნდა ამტკიცოს, რადგანაც ყველა დანაშაული უნიკალურია. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება ჩადენის საგნით, ხერხით, ადგილით, საშუალებით, დამნაშავის ინდივიდუალური მოტივით და მიზნით. შესაძლებელია კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობიდან გამომდინარე ბრალდების მხარეს მოუწიოს გარკვეული გარემოებების მტკიცება – მაგ., წინასწარი განზრახვის მტკიცება თაღლითობის დანაშაულის დროს, მაგრამ შეუძლებელია ზოგადი ფორმულის შემუშავება, თუ რა უნდა ამტკიცოს მხარემ კონკრეტული საქმის ფარგლებში.

თაღლითობის დანაშაულში სშირად ერთ-ერთი ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულება დაზარალებულის ჩვენებაა, რომელიც აღწერს მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის ყველა გარემოებას. სწორედ ის გვაწვდის ინფორმაციას მის მიმართ ჩადენილი მოტყუების ხერხთან მიმართებაში.

დაზარალებულის ჩვენებასთან ერთად შესაძლებელია იყოს სხვა ობიექტური, მიუკერძოებელი მოწმის ჩვენებაც; ან ვიდეო-აუდიოჩანაწერი; ასევე, წერილობითი მტკიცებულებები ხელშეკრულების, ხელწერილის ან მინდობილობის სახით...; ასევე, კომპიუტერულ სისტე-

მიდან გამოთხოვილი ინფორმაცია მაგ.: ტრანზაქციები; საჯარო რეესტრის მონაცემები... თითოეულ მათგანს მოკლედ გავიხილავთ შემდეგ ქვეთავებში.

2.1 მოწმის/დაზარალებულის ჩვენების მტკიცებულებითი ხასიათი

საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მიხედვით – მოწმეა პირი, რომელიც შესაძლოა ფლობდეს საქმისთვის გარემოებების შესახებ ცნობებს.³⁰ მოწმის სტატუსის მისაღებად საჭიროა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე მისი გაფრთხილება/ფიცის დადება და ფიზიკური/ფსიქიკური შესაძლებლობა აღიქვას, დაიმახსოვროს/აღიდგინოს საქმისთვის გარემოებები და მისცეს ჩვენება.³¹

"მოწმის ინფორმაცია მიმართული უნდა იყოს გარკვეულ ფაქტებზე. ინფორმაცია არ უნდა იყოს მხოლოდ მოწმის აზრი, შეხედულება ან მისი პირადი დასკვნები. მოწმე არის პიროვნული მტკიცებულება."³² მის მიერ აღქმული ფაქტები მის გონებაში უცვლელად არ ინახება. რამდენჯერმე მოყოლის შემდგომ ინფორმაცია მოდიფიცირდება. ასევე, სხვა პირებთან/მოკლენებთან გაიგივების შემდგომ მისი

30 აშშ-ს მტკიცების ფედერალური წესების მე-6 მუხლის მიხედვით (წესი 601) "ყველა ადამიანია უფლებამოსილი იყოს მოწმე, თუ ამ წესებით სხვა რამ არ არის დადგენილი", იმ შემთხვევაში "თუ არსებობს საკმარისი მტკიცებულება იმის დასამტკიცებლად, რომ მოწმეს აქვს პირადი ცოდნა ამ საკითხთან" (602 წესი). აუცილებელია "ჩვენების მიცემამდე მოწმემ დადოს ფიცი ან დადასტურება" (წესი 603). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.law.cornell.edu/rules/fre> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

31 დეტალურად იხილეთ თუმანიშვილი, გ., 2014. სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 212-218; ლალიაშვილი, თ., 2015. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 292-342; ფაფიაშვილი, ლ. და სხვები, 2017. საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 632-646; ავტ. კოლ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, რედ. გიორგაძე, გ., 2015. ამერიკის იურისტთა ასოციაცია, კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI). თბილისი: მერიდიანი, გვ. 258-264.

32 შეადარე. ლალიაშვილი, თ., 2015. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 293.

მაიდენტიფიცირებული ნიშან-თვისების პირვანდელი ვერსია გონებიდან გაქრეს. „მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ თუ მოწმე გამოსაძიებელი საქმით არ არის დაინტერესებული, მას ურჩევნია მისცეს სწორი ჩვენება, ვიდრე შექმნას სხვადასხვა სახის არასწორი ილუზია და შემდეგ თავი იმართლოს არასწორი ჩვენებისათვის.“³³ უმეტესად მოწმის მიერ არასწორი ჩვენების მიცემის მიზეზია ის, რომ არ სურს პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობის გაფუჭება; ეშინია, ემუქრება რელური საფრთხე ბრალდებულის/მისი ახლო ნათესავისაგან; სურს დამალოს ინფორმაცია, თავისი უსუსურობა ან სიმხდალე; ასევე, სურს ბრალდებულისთვის პასუხისმგებლობის შემსუბუქება; ან დაინტერესებულია ამ პირის მკაცრად დასჯით.

თაღლითობის დანაშაულში დაინტერესებულ მოწმედ დაზარალებული გვევლინება, რადგანაც მას ყველაზე მეტად სურს თავისი დარღვეული უფლებების აღდგენა და დამნაშავის დასჯა. მათი თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ითხოვს მიყენებული ზიანის ანაზღაურებას და ყურადღებას ამახვილებს ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარების ფაქტზე. მიუხედავად დაზარალებული მოწმის მიკერ-

ძობისა, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს არაერთი კანონი³⁴ თაღლითობის დანაშაულთან მიმართებაში სავალდებულოდ ითხოვს დაზარალებულის თანხმობის არსებობას.

საქართველოს სსსკ-ის 56-ე მუხლის მიხედვით დაზარალებულის სტატუსის მისაღებად საჭიროა: მატერიალური წინაპირობა – პირს უშუალოდ დანაშაულის შედეგად უნდა მიაღვეს მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი და ფორმალური წინაპირობა – პროკურორის დადგენილება პირის დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ ცნობის თაობაზე.³⁵

განსხვავებით მოქმედი კანონმდებლობისგან, 1998 წლის საქართველოს სსსკ იცნობდა სუბსიდიურ სისხლისსამართლებრივ დევნას, რომლის მიხედვითაც დაზარალებული წარმოადგენდა „სუბსიდიურ ბრალმდებელს“.³⁶ პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება ბრალდების ნაწილის მოხსნის კონტექსტში შეზღუდული იყო დაზარალებულის თანხმობით. კერძო სისხლისსამართლებრივი დევნა იწყებოდა და წყდებოდა დაზარალებულის განცხადების საფუძველზე, ხოლო პროკურორი ერთვებოდა მხოლოდ განსაკუთ-

33 ფაფიაშვილი, შ., 2013. კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), დანაშაულის გამოძიებისა და გახსნის მეთოდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა. სახელმძღვანელო. თბილისი: მერიდიანი, გვ. 419.

34 „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6267987?publication=0>> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

35 ფაფიაშვილი, ლ. და სხვები, 2015. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. ამერიკის იურისტთა ასოციაცია. თბილისი: გვ. 219.

36 მსგავსი რეგულაციები ჯერ კიდევ მოქმედებს რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სადაც დაზარალებული ბრალდების მხარეა მე-5 მუხლის მე-40 ნაწილის მიხედვით. აღნიშნული დოკუმენტის მე-20 მუხლი – კერძო სს-ებრივი დევნის განმახორციელებელ პირად წარმოგვიდგენს დაზარალებულ პირს. დანვრითებით იხილეთ რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_34481/> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

რებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საქმეებში.³⁷ მსგავს პრაქტიკას ვხვდებით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც უწინ გამოძიებისთვის დაზარალებულები სპეციალურად ქირაობდნენ პირებს. აშშ-ს კონგრესმა 1982 წელს მსხვერპლისა და მოწმეების დაცვის აქტის ამოქმედებით აღიარა, რომ დაზარალებულებისა და მოწმეების თანამშრომლობის გარეშე, სისხლის სამართლის სისტემა შეწყვეტს მუშაობას. შესაძლებელია, ეს აღმნიშნები იგნორირებულნი იყვნენ სისხლის სამართლის მართმსაჯულების სისტემის მიერ და გამოიყენებოდნენ, როგორც დანაშაულის გამოვლენისა და დასჯის იარაღები.³⁸

საქართველოს მოქმედი სსსკ-ის მიხედვით, დაზარალებულის უფლებები საკმაოდ შეკვეცილია. მას აქვს ინფორმაციის მიღების, პროცესებზე დასწრების, პროკურორის გარკვეული გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება.³⁹ ყველაზე მნიშვნელოვანი კი დაზარალებულის⁴⁰ მიერ მოწმის სახით ჩვენების მიცემის უფლებაა.

თაღლითობის დანაშაულში დაზარალებულის ჩვენება ცენტრალური მტკიცებულებაა. არის შემთხვევები, როდესაც დაზარალებულის გარდა, სხვა მოწმე არაა საქმეში, რაც გამოძიებას ართულებს,

მაგრამ ტექნოლოგიების ეპოქაში დამატებით არსებობს გადარიცხვების, დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის წარმოებული კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია, წერილობითი ხელშეკრულებები და ა.შ.

დაზარალებულის ჩვენებასთან მიმართებაში საერთო სასამართლოები ხაზს უსვამენ „ჩვენების თანმიმდევრულობას“ და „სანდოობას“.⁴¹ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ⁴² განმარტა, რომ მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება არ არის საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად, მას უნდა შეესაბამებოდეს სხვა მტკიცებულებები. შესაბამისად, სასამართლო მხოლოდ მაშინ იზიარებს დაზარალებულის ჩვენებას, თუ ის შეესაბამება საქმეში არსებულ მასალებს (მათ შორის წერილობით მტკიცებულებებს), არის თანმიმდევრული და სანდო. პრაქტიკაში ხშირადაა დაზარალებულის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასთან ერთად სახეზე მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ირიბი ხასიათისაა. სასამართლო აღნიშნული მოწმეებისგან მიღებულ ინფორმაციას იყენებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, თუ თანხვედრაშია საქმეში არსებულ სხვა მასალებთან.

სისხლის სამართლის 112აპ-17 საქმეზე 2017 წლის 20 ივნისს საქართველოს

37 დეტალურად იხილეთ მეურმიშვილი, ბ., 2015. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე), თბილისი: მერიდიანი, გვ. 65-66; 68-70.

38 June 2006, Prepared by the Victims Committee, Criminal Justice Section, American Bar Association, „THE VICTIM IN THE CRIMINAL JUSTICE SYSTEM“, გვ. 2.

39 დეტალურად იხილეთ მუხლი 57, სისხლისსამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=172>> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

40 დაზარალებულის უფლება-მოვალეობების შესახებ დეტალურად იხილეთ მეიშვილი, ზ. და ჯორბენაძე, ო., 2007. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები (2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით). თბილისი: სეზანი, გვ. 180-193.

41 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №1075აპ-22).

42 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №417აპ-23).

უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი შეცვალა სრულად გამამტყუნებელი განაჩენით და განმარტა, რომ დაზარალებული არის პირი, რომელსაც ადგება უშუალოდ ზიანი და არა პირი, რომლისგანაც დამნაშავეებმა მიიღეს თანხა. საქმის მასალების მიხედვით დადგინდა, რომ ლ.ს-ს ქონება მისი ნებართვის და თანხმობის გარეშე, წინასწარ შედგენილი ყალბი მინდობილობის საფუძველზე გარკვეული თანხის სანაცვლოდ დატვირთეს იპოთეკარებთან. ორი სესხი-იპოთეკის ხელშეკრულებების გაფორმების შემდგომ ნოტარიუსი დაუკავშირდა ლ.ს-ს, რა დროსაც მისთვის ცნობილი გახდა ამ უკანასკნელის კუთვნილი პირადობის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტის ქუდობის და მისი მეშვეობით ყალბი მინდობილობის დამზადების და გამოყენების შესახებ. თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ დაზარალებულები იყვნენ იპოთეკარები, რადგანაც ბრალდებულები მათ თანხას დაუფლნენ, მაგრამ უზენაესი სასამართლო დაეთანხმა პროკურორის პოზიციას და განმარტა, რომ დაზარალებული იყო ბინის მესაკუთრე, რომლის ქონებაც დატვირთული იყო იპოთეკით. შესაბამისად, აღნიშნულ საქმეში მნიშვნელოვანი იყო დაზარალებულის ჩვენება და იპოთეკარების ჩვენებები, რომლებმაც დეტალურად აღწერეს მიმდინარე მოვლენები.

გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში არსებულ თაღლითობის საქმეებში დაზარალებულის ჩვენება ხშირად წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ მტკიცებულებას, რომელიც აღწერს მოტყუების

პროცესს, თუმცა მისი სანდოობა ყოველთვის ექვემდებარება მკაცრ შეფასებას. სასამართლო მოითხოვს, რომ ჩვენება იყოს თანმიმდევრული, შეესაბამებოდეს სხვა მტკიცებულებებს და არ იყოს ერთადერთი საფუძველი ბრალდებულის მსჯავრისთვის. ჩვენების სანდოობის შეფასების კრიტერიუმებია: თანმიმდევრულობა; შესაბამისობა სხვა მასალებთან; დეტალებზე ორიენტირებულობა; მოტივის არარსებობა; ფსიქოლოგიური ექსპერტიზა.⁴³

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ თაღლითობის დანაშაულში დაზარალებული ცენტრალურ ქვაკუთხედს წარმოადგენს, რომლის ჩვენება ბრალდების მხარის უმნიშვნელოვანესი მტკიცებულებაა და უნდა იყოს შესაბამისობაში საქმეში არსებულ სხვა ინფორმაციასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებათა ერთობლიობა სახეზე შესაძლოა არ იყოს, რაც გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას ხელს უშლის.

2.2 წერილობითი მტკიცებულებები

საქართველოს სსსკ-ის 83-ე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით „ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე მხარეები ვალდებული არიან მისცენ ერთმანეთს იმ ინფორმაციისა და მტკიცებულების გაცნობის შესაძლებლობა, რომელთა სასამართლოში წარდგენასაც ისინი აპირებენ, ასევე გადასცენ წერილობითი მტკიცებულებების ასლები.“⁴⁴ შესაბამისად, წერილობითი მტკიცებულებაა სისხლის სამართლის საქმეში არსებული

43 German Code of Criminal Procedure, § 261 and § 263. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stpo/englisch_stpo.html> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

44 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=172>> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

ყველა დოკუმენტი, მათ შორის: საგამოძიებო მოქმედების ოქმები; ხელშეკრულებები; სანოტარო აქტები; დადგენილებები საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ; ინფორმაციის გახსნა-დათვალიერების ოქმები, ასევე სხვა მტკიცებულებები, რომლებშიც ინფორმაცია გადმოცემულია სიტყვიერ-ნიშნობრივი ფორმით ან/და ფოტო-, კინო-, ვიდეო-, ბგერისა თუ სხვა ჩანაწერის სახით ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით.⁴⁵

თაღლითობის დანაშაულში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წერილობითი მტკიცებულებაა ხელშეკრულება, რომლითაც მოცემულია მხარეთა შორის არსებული მოლაპარაკების შინაარსი. მისი მეშვეობით დგინდება, სახეზეა ხელშეკრულებით მოცემული სამოქალაქო ურთიერთობა თუ შეფარული ინფორმაციაა მოცემული და მისი შედგენა თაღლითობის დანაშაულის ჩადენის ხერხს წარმოადგენდა.

პრაქტიკაში ხშირად ხელშეკრულების დადების მიზანი დამნაშავესთვის ნაკისრი ვალდებულების შესრულება არაა. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა საქმე ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე, როდესაც ბრალდებულებს განაწილებული ჰქონდათ როლები – ნაწილი მათგანი დაზარალებულებს გაეცნო როგორც მესაკუთრედ, ხოლო ნაწილი შუამავლად. მათ დანაშაულის ჩადენის მიზნით თბილისის სხვადასხვა ქუჩებში იქირავეს უძრავი ბინები, რომლებიც ინტერნეტ-საიტებზე განათავსეს, როგორც დასაგირავებელი ქონება. დაზარალებულები უკავშირდებოდნენ მათ გარკვეული თანხის

სანაცვლოდ ბინების დაგირავების მიზნით. ბრალდებულები მათ აცნობდნენ „მესაკუთრეს“, რომელთანაც მსხვერპლი აწარმოებდა მოლაპარაკებას. სანოტარო წესით იღებოდა სესხის ხელშეკრულება, რომლის შინაარსში არ იყო მოხსენიებული „მესაკუთრე“ და უძრავი ქონება. მსხვერპლები 8000-16000 დოლარს გადასცემდნენ ბრალდებულებს. მათთვის მალევე ხდებოდა ცნობილი, რომ იყვნენ თაღლითობის მსხვერპლნი, ხოლო ზიანი ვერ/არ ანაზღაურდებოდა. სასამართლოში დაზარალებულები დაკითხვისას განმარტავდნენ, რომ მათ სესხი-იპოთეკის ხელშეკრულებები დადეს, რეალურად კი გაფორმდა სესხის ხელშეკრულებები და ვალის აღიარების ხელწერილები.⁴⁶

თაღლითობის დანაშაულში ხელშეკრულება არის ნეიტრალური მტკიცებულება, რომელში მოცემული ინფორმაცია ხშირად არ შეესაბამება რეალურ ფაქტებს და აშკარად მიუთითებს დაზარალებულის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე. მასზე ინიშნება ხელწერის ექსპერტიზა, რომელიც უმეტესწილად ვერ აღგენს, ხელმოწერა ბრალდებულებისა და დაზარალებულის მიერ არის თუ არა შესრულებული, რადგან შესადარებელი ნიმუში საკმარისად არ არის დატანილი შესაბამის დოკუმენტზე.

მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა მინდობილობა, რომელიც დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ, რომელიც ამოწმებს მხოლოდ გამოცხადებული მარწმუნებლის ვინაობას. ასევე, სტანდარტულად გადააქვს პირობები და არ ახდენს მის შესაბამისობას მარწმუნებლისთვის სასურველ და მის მიერ დელეგირებულ

45 შეადარე. ნაწილი 23, მუხლი 3, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=172> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

46 აღნიშნული ორგანიზებული ჯგუფის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი – სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №1ბ/1314-23).

უფლებამოსილებებთან. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც გამყიდველი მინდობილობით გადასცემს მფლობელობას მყიდველს – ნოტარიუსს კონკრეტული სატრანსპორტო საშუალების მონაცემების ნაცვლად განკარგვის, მათ შორის გასხვისების და საკუთარ თავზე გადაფორმების უფლებით შეაქვს ზოგადად სატრანსპორტო საშუალებების განკარგვასთან დაკავშირებული მონაცემები. მოგვიანებით დგინდება, რომ მყიდველს გასხვისებული ჰყავდა არა მხოლოდ მის მიერ შეძენილი ავტომობილი, არამედ მარწმუნებლის სახელზე რეგისტრირებული ყველა სატრანსპორტო საშუალება.

კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს დისტანციურად დადებული ხელშეკრულება არათანმიოვან პირობებში შორის. აღნიშნული პოპულარული გახდა კოვიდ პანდემიის პერიოდში, რაც დამნაშავეებისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა თაღლითობის დანაშაულების განსახორციელებლად. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც კონტრაქტის პიროვნებაში მოხდა შეცდომა. აღნიშნულ პრობლემას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა. მათში განხილულია შემთხვევა, როდესაც პირი შინაგანად ცდება კონტრაქტის იგივეობაში და ვითარება, როცა პირს თაღლითური ქმედებით შეჰყავს სხვა შეცდომაში, რის გამოც ეს უკანასკნელი ცდება „კონტრაქტ-

ნტის იდენტურობაში“.⁴⁷ იდენტურობაში შეცდომა არის ცალმხრივი შეცდომა, რაც გვხვდება როგორც დისტანციურად/ვებ გვერდის მეშვეობით⁴⁸ (inter absentes), ისე ერთმანეთის პირისპირ მყოფ მხარეებს შორის (inter praesentes) დადებული შეთანხმების დროს. „როდესაც ქონების გამყიდველი შეცდომაშია შეყვანილი, მყიდველის მხრიდან არასწორი ინფორმაციის მიწოდებით, და სჯერა, რომ მას საქმე აქვს პირთან, რომელიც სრულიად განსხვავებულია იმ ადამიანისაგან, რომელიც მის წინ დგას. შედეგად, გამყიდველი გადასცემს საქონელს, ან კრედიტით, ან ჩუკის სანაცვლოდ, რომელიც, მოგვიანებით, გადახდისუნარო აღმოჩნდება. ამგვარ გარემოებაში, ხელშეკრულება, რა თქმა უნდა, საცილოა, მოტყუების გამო“.⁴⁹ აღნიშნულის შესახებ შეთანხმების შეუსრულებლობის დროს ხდება ცნობილი. რაც შეეხება ხელშეკრულების მტკიცებულებით ნაწილს – რთულია აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ექსპერტიზის ჩატარება, რადგანაც სახეზე არაა დედანი დოკუმენტი, ხოლო დისტანციური ხელშეკრულების დადებისას ორივე მხარე დასკანერებულ ასლზე აწერს ხელს. ხელშეკრულების შინაარსობრივი ნაწილი გამოყენებული კი იქნება მხარეების მიერ.

აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია, რომ შემუშავ-

47 კონტრაქტის პიროვნებაში შეცდომასთან დაკავშირებით იხილეთ ამირანაშვილი, გ., 2013. შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში – მომწესრიგებელი ნორმის თავისებურება ქართულ კანონმდებლობაში. სამართლის ჟურნალი, 2, გვ. 26-43; ამირანაშვილი, გ., 2016. თაღლითობით გამოწვეული შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში, ანგლოსაქსური სამართლის მიხედვით. გურამ ნაჭყებია – 75 საიუბილეო კრებული. თბილისი: მერიდიანი, გვ. 418-431.

48 შეადარე, სოფრომაძე, ა., ვებგვერდის საშუალებით გაფორმებული ელექტრონული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://library.court.ge/upload/56582018-01-29.pdf>> [წვდომის თარიღი 10.11.2025]; სოფრომაძე, ა., 2018. ვებგვერდის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება. სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<http://library.court.ge/upload/11852018-07-13.pdf>> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

49 შეადარე, ამირანაშვილი, გ., 2016, თაღლითობით გამოწვეული შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში. ანგლოსაქსური სამართლის მიხედვით. გურამ ნაჭყებია – 75 საიუბილეო კრებული. თბილისი: მერიდიანი, გვ. 419.

დეს გარკვეული მიდგომები. მაგალითად: მხარეებს დაეკისროთ დამატებითი ვალდებულება, რომ ხელმოწერასთან ერთად დოკუმენტზე წერილობით გაკეთდეს შინაარსის გაცნობასთან დაკავშირებული დამატებითი განმარტება. ნოტარიუსთან მიმართებაში შემუშავდეს სხვადასხვა ფორმები მოძრავი/უძრავი ნივთის თუ საკუთრების უფლების მინდობასთან დაკავშირებით – გაიმიჯნოს ერთმანეთისგან დროებით მფლობელობაში გადაცემა და განკარგვის უფლებები. დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში დადასტურდეს კონტრაქტის პიროვნება და შემდგომ დაიდოს ხელშეკრულება. ფიზიკური/იურიდიული პირის ვინაობის დადგენა შესაძლებელია როგორც კონკრეტული სახელმწიფოს წარმომადგენლების, ასევე საჯარო/სამოქალაქო რეესტრის მეშვეობით.

სანოტარო ინსტრუმენტების დანაშაულის იარაღად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია, დაინერგოს მხარეებისთვის უფლებამოსილების შინაარსის განმარტების პროცესის სავალდებულო ვიდეოფიქსაცია. თაღლითობის საქმეებში აღნიშნული ჩანაწერი განდება გადამწყვეტი მტკიცებულება რეალური შეცდომაში შეყვანის ფაქტის დასადგენად, რაც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას, გამიჯნოს მხარის „გაუფრთხილებლობა“ მიზანმიმართული „მოტყუებისგან“.

გასათვალისწინებელია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ბრალდების მხარის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად მოპოვებული წერილობითი მტკიცებულებები ხშირი არ არის. გამოძიების ეტაპზე გამომძიებლები და პოლიციის თანამშრომლები საკუთარ წიგნაკში იწერენ მოწმის მონაცემებს და მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მნიშვნელოვან ნაწილს.

არ ხდება სტანდარტული გამოკითხვის ოქმების შედგენა, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს მოწმე. საგამოძიებო ორგანოში მოწმის დაკითხვისას გამოიყენება ტექნიკური ჩამწერი მოწყობილობები, რომლებიც იწერენ მოწმესთან განხორციელებულ კომუნიკაციას. აღნიშნული მოწმის გარდაცვალების ან მისი ადგილსამყოფელის დაუდგენლობის შემთხვევაში აღნიშნული ჩანაწერის გამოკვლევა ხდება უშუალოდ პროცესზე. აღნიშნულიდან განსხვავებით, საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, მოწმის გამოკითხვის ოქმი უნდა გადაეცეს დაცვის მხარეს, თუ მისი დაკითხვა გვინდა არსებითი განხილვის ეტაპზე. დადგენილი პრაქტიკის მიხედვით კი აღნიშნულ გამოკითხვაში სრულად უნდა იყოს მოცემული მოწმის მიერ გადმოცემული ინფორმაცია. თუ დამატებითი გარემოებების შესახებ პროცესზე განაცხადებს მოწმე, აღნიშნული უარყოფითად განიმარტება დაცვის მხარის მიერ.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სსსკ-ის მიხედვით მნიშვნელოვანია ყოველ კონკრეტულ საქმეზე ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, რომლებიც წერილობითი სახით უნდა იყოს საწყის ეტაპზე წარდგენილი სასამართლოში, ხოლო არსებითი განხილვის დროს უნდა დაიკითხოს ყველა ის მოწმე, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული მონაცემების მოპოვება. მტკიცების პროცესი ამ სახით გართულებულია. კარგი იქნება, თუ შემოვიღებთ ამერიკულ მოდელს და ბეჭდური მტკიცებულებებიდან გადავალთ გამომძიებლის მიერ მოპოვებული მასალების ანალიზზე. აღნიშნული გააადვილებს გამოძიების ეტაპს და ხელს შეუწყობს მტკიცებულებების უმოკლეს დროში მოპოვებას.

ბეჭდური ოქმებიდან ამერიკული მოდელის მსგავს აუდიო/ვიდეო ფიქ-

საციაზე გადასვლას თან უნდა ახლდეს საგამოძიებო მონაცემთა შენახვის ბლოკჰინ-ტექნოლოგიის დანერგვა. ჩანაწერის შექმნის მომენტში მისი ჰემ-კოდის დეცენტრალიზებულ რეესტრში რეგისტრაცია გამორიცხავს საგამოძიებო ორგანოს მხრიდან ჩანაწერის შემდგომი მონტაჟის ან ფრაგმენტების წაშლის შესაძლებლობას. აღნიშნული უზრუნველყოფს ბალანსს ამერიკული მოდელის ოპერატიულ ეფექტურობასა და საქართველოში დამკვიდრებულ საპროცესო გარანტიებს შორის.

2.3 რეესტრის მონაცემთა უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია

თაღლითობის დანაშაულში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მტკიცებულება საჯარო რეესტრის მონაცემებია, რომლებიც მატერიალურად ან ელექტრონულად ინახავს უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ინფორმაციას, მათ შორის იპოთეკის რეგისტრაციის, მინდობილობის არსებობის და მესაკუთრეების ცვლილებებთან არსებულ მონაცემებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის⁵⁰ მიხედვით: რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია – ისინი ითვლებიან სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. ისინი ითვლებიან სწორად, გარდა შემთხვევებისა, როცა მისი მცდარობის შესახებ შეტანილია საჩივარი, ან შემძენმა იცოდა ჩანაწერში არსებული უზუსტობის შესახებ. მესაკუთრის მიერ უძრავი ქონების გასხვისებისას მხელველობაში მიიღება სხვა თანამესაკუთრეების თანხმობაც, თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულნი არიან თანამესაკუთრეებად. შესაბამისად, საჯარო

რეესტრის მონაცემები ითვლება უტყუარად მისი სიმცდარის დადგენამდე. რა ხდება მაშინ, თუ დარეგისტრირდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ახალ შემძენზე უნდა გადასულიყო საკუთრების უფლება და აღნიშნული უფლების რეგისტრაციამდე დამნაშავემ უძრავი ქონება გაასხვისა მესამე პირზე. მას შემდგომ, რაც მესამე შემძენმა ნახა საჯარო რეესტრის მონაცემები, აღმოჩნდა, რომ ის თაღლითობის მსხვერპლი გახდა და რეალურად ხელშეკრულების დადების დღეს დამნაშავეს გაყიდული ჰქონდა უძრავი ქონება, რომელზე საკუთრების რეგისტრაციის მონაცემები მუშავდებოდა და იმავე დღეს არ მოხდა მათი აღბეჭდვა პროგრამულად.

ჩემი აზრით, არსებული პრობლემის აღმოსაფხვრელად უნდა იყოს სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც ცვლილებების შესახებ განცხადების დარეგისტრირების შემდგომ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე საკუთრების შესახებ ინფორმაცია არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი მანამ, სანამ ახალი საკუთრება ან სხვა უფლება აღნიშნულ უძრავ ქონებაზე არ დარეგისტრირდება. აღნიშნული დაიცავს ახალ შემძენს და თავიდან იქნება აცილებული ქონების ხელახალი გასხვისება.

კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს მშენებარე კორპუსებში არსებული ბინების გაყიდვა მანამ, სანამ არ იქნება აშენებული საცხოვრებელი კორპუსი და მიენიჭება მათ კონკრეტული ნომრები. მრავლადაა პრაქტიკაში შემთხვევა, როდესაც მშენებარე კორპუსებში დაზარალებულებს შეძენილი აქვთ ფოიები და კიბის უჯრედები საცხოვრებელი ფართის ნაცვლად. სამშენებლო სექტორში თაღლითობის პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია საჯარო რეესტრში „ობიექტის

50 მუხლი 312, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=135> [ნვდომის თარიღი 10.11.2025].

ციფრული პასპორტის“ სისტემის დანერგვა. მშენებარე კორპუსში თითოეულ ბინას არქიტექტურული პროექტის დამტკიცების ეტაპზე უნდა მიენიჭოს უნიკალური ტოკენი (იდენტიფიკატორი). იმ ობიექტზე ტრანზაქციის განხორციელების ტექნიკური შეუძლებლობა, რომელსაც ნუმერაციის სისტემაში აქტიური სტატუსი არ გააჩნია, ფიზიკურად გამორიცხავს „ფოიების საცნოვრებელ ფართად გაყიდვის“ თაღლითურ ოპერაციებს სახელმწიფო ალგორითმის დონეზე. აღნიშნული ხელს შეუწყობს თაღლითობის დანაშაულების მინიმუმამდე დაყვანას ბინათმშენებლობის სექტორში და შემდენის საკუთრება საწყისი მომენტიდანვე იქნება დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

2.4 კომპიუტერული მონაცემები

საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის 28-ე ნაწილის მიხედვით: *“კომპიუტერული მონაცემი – კომპიუტერულ სისტემაში დამუშავებისათვის ხელსაყრელი ნებისმიერი ფორმით გამოსახული ინფორმაცია, მათ შორის, პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას.”* 27-ე ნაწილის მიხედვით კი – *“კომპიუტერული სისტემა – ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი).”*⁵¹

21-ე საუკუნე სოციალური ქსელების და კომპიუტერული სისტემების განვითარების ეპოქაა. აღნიშნულს ხელი შეუწყო კოვიდ პანდემიამაც, რა დროსაც საზოგადოება პირისპირ წარმოებული მოლა-

პარაკებებიდან გადავიდა დისტანციურ გარიგებებზე. ვირტუალურად დადებული ხელშეკრულებებისას ანგარიშსწორება და შეძენილი პროდუქციის გადაცემა მეორე მხარისთვის ხდებოდა დისტანციურად. აღნიშნულმა კი ხელი შეუწყო კიბერდანაშაულის რაოდენობის ზრდას, რამაც დღის წესრიგში დააყენა კომპიუტერული მონაცემების გამოთხოვის საჭიროება. საქართველოს სსსკ-ის 136-ე მუხლის მიხედვით, თუ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში არსებობს საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, მხარე შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში კი იგი ტარდება პროკურორის დადგენილების საფუძველზე. ასევე, შესაძლებელია მომსახურების მომწოდებლისაგან მომხმარებლის შესახებ არსებული ინფორმაციის გამოთხოვა, თუ ამ პირის მიერ დანაშაული კომპიუტერული სისტემის მეშვეობით ხორციელდება.

კომპიუტერული მონაცემების მოპოვებისას გარკვეულ პრობლემებს ვხვდებით, მაგალითად, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში არსებული არხებით ხდება ინფორმაციის გამოთხოვა სოციალური ქსელებიდან, რადგანაც აღნიშნულ კომპანიებს წარმომადგენლები არ ჰყავთ ადგილსამყოფელ ქვეყანაში. აღნიშნული დანაშაულებაც კი საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს და ხშირად მაშინ იღებს სახელმწიფო ინფორმაციას, როდესაც საპატიმრო საქმეებზე დამდგარია განაჩენი. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია, რომ ზემოაღნიშნული სოციალური ქსელები და კომპანიები, რომლებიც ოპერირებას ახორციელებენ ადგილსამყოფელ ქვეყანაში, დაუქვემდებაროთ სავალდებულო რეგისტრაციას.

51 ნაწილები 27-28, მუხლი 3, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=172> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

კომპიუტერული მონაცემის გამოყენების საკითხი პრობლემურია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც. 2025 წლის ივლისში ბერლინის რეგიონულმა სასამართლომ (Landgericht Berlin) მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლითაც დაუშვებლად ცნო 2020 წელს საფრანგეთის ხელისუფლების მიერ მოპოვებული მილიონობით დაშიფრული შეტყობინება, რომელიც ტრანსნაციონალური დანაშაულის აღმოფხვრის მიზნით დაგზავნილი იყო მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სასამართლომ განმარტა, რომ მტკიცებულებები არ იყო მოპოვებული სასამართლოს ზედამხედველობის ქვეშ და ცნო დაუშვებლად.⁵²

წერილობითი მტკიცებულების მოპოვებასთან დაკავშირებით პრობლემურია შემთხვევები, როდესაც სახეზეა კრიპტოვალუტის – ბიტკოინების მეშვეობით განხორციელებული თაღლითობა. ყველა ბიტკოინის მესაკუთრეს აქვს ე.წ. საფულე ინდივიდუალური კოდით, რომელიც ცნობილია მხოლოდ მესაკუთრისთვის. შესაბამისად, თუ დამნაშავე არ მიაწოდებს გამოძიებას კუთვნილი საფულის შესახებ ინფორმაციას, ვერ მოხდება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული/დანაშაულის ჩასაღებად გამიზნული კრიპტოვალუტის დაყადაღება. აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა პრობლემურია, რადგან მათ ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში არ ჰყავთ. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ მოითხოვოს აღნიშნული კომპანიების ქვეყნის სავაჭრო სივრცეში შემოსვლისას რეგისტრაცია და წარმომადგენლობის სავალდებულოდ არსებობა.

ჩვენს დროში „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცების კლასიკური სტანდარტი გენერაციული ხელოვნური ინტელექტის მხრიდან მნიშვნელოვანი გამოწვევების

წინაშე დადგა. თაღლითობის საქმეებში სულ უფრო ხშირად ფიგურირებს ე.წ. „დიპფეიკი“ (კონტრაქტის ხმისა თუ ვიზუალის იმიტაცია). მიმაჩნია, რომ საკანონმდებლო დონეზე უნდა განისაზღვროს ციფრული ფორენზიული ექსპერტიზის ჩატარების ვალდებულება იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდება ეფუძნება დისტანციური კომუნიკაციის შედეგად მოპოვებულ მონაცემებს. ციფრული კვალის ავთენტურობის ვერიფიკაციის გარეშე, ტექნოლოგიური მანიპულაციების პირობებში, სასამართლო შეცდომის რისკი კრიტიკულ ზღვარს აღწევს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ადგილსამყოფელ ქვეყანაში მომსახურების მომწოდებელს ჰყავდეს წარმომადგენელი, რომელიც შემჭიდროებულ ვადებში, დამატებითი ბიუროკრატიის გარეშე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე გადასცემს გამოძიებას მნიშვნელოვან ინფორმაციას.

დასკვნა

კვლევის შედეგად გამოიკვეთა მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემები და მისი განმაპირობებელი ფაქტორები:

1. დაზარალებულის ჩვენების, როგორც „მიკერძოებული“ მოწმის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სანდოობის პრობლემა;

2. ხელშეკრულებების და მინდობილობის გაფორმებისას, სტანდარტული პირობების „ავტომატური“ გადატანა, ისე, რომ მხარეთა განზრახვა კონკრეტული უფლებამოსილების მინიჭებას არ მოიცავდა – აღნიშნული პრობლემის აღმოსა-

52 EncroChat in Germany: Berlin Court Rules Evidence Inadmissible. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://sugrobov.de/en/encrochat-in-deutschland-berliner-gericht-erklart-beweise-fur-unzulassig/?utm_source=copilot.com> [წვდომის თარიღი 10.11.2025].

ფხვრელად უმდა შემუშავდეს ხელშეკრულებების სავალდებულო ფორმა.

3. დისტანციურ ხელშეკრულებებში – კონტრაქტის პიროვნების სწორად დადგენის პრობლემა, რათა ხელშეკრულების მხარეებმა იცოდნენ კონტრაქტის მონაცემები;

4. მნიშვნელოვანია მშენებარე კორპუსების, როგორც სრული კონსტრუქციის, რეგისტრაცია, ასევე კონკრეტული ბინების რეგისტრაცია, რაც მყიდველს დაიცავს შეცდომისგან და აღარ მოხდება ერთი ბინის რამდენიმე პირზე გადაყიდვა.

5. საერთაშორისო დახმარების ფარგლებში ინფორმაციის სწრაფად მოპოვების პრობლემა, რაც გამოწვეულია მრავალი ბიუროკრატიული პროცესით.

აღნიშნული რეკომენდაციების გათ-

ვალისწინება მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს როგორც თაღლითობის დანაშაულის მტკიცების პროცესს, ასევე დანაშაულის პრევენციას.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ თაღლითობის საქმეებზე მტკიცების სტანდარტი „ბეჭდური დასტურიდან“ უნდა ტრანსფორმირდეს „ციფრული და ნების გამოვლენის კვალის კომპლექსურ ვერიფიკაციაში“. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის მოდერნიზაცია ტექნოლოგიური კონტროლისა და დაზარალებულის სუბიექტურობის გაძლიერების გზით, წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცების სტანდარტის რეალურად მისაღწევად.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამირანაშვილი, გ., 2016. თაღლითობით გამოწვეული შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში. ანგლოსაქსური სამართლის მიხედვით. გურამ ნაჭყებია – 75 საიუბილეო კრებული. თბილისი: მერიდიანი.
2. ამირანაშვილი, გ., 2013. შეცდომა კონტრაქტის პიროვნებაში – მომწესრიგებელი ნორმის თავისებურება ქართულ კანონმდებლობაში. სამართლის ჟურნალი, 2.
3. გიორგაძე, გ. და ბარამიძე, ა., 2014. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სახელმძღვანელო იურისტებისთვის). ამერიკის იურისტთა ასოციაცია. კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI), თბილისი: მერიდიანი.
4. გურიელი, ა., 2016. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები, როგორც სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის საშუალება სისხლის სამართლის პროცესში. სამართალი და მსოფლიო, 5.
5. გუცენკო, კ. ფ., გოლოვკო, ლ. ვ. და ფილოვალისწინება მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს როგორც თაღლითობის დანაშაულის მტკიცების პროცესს, ასევე დანაშაულის პრევენციას.
6. თუმანიშვილი, გ., 2014. სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი: იურისტების სამყარო.
7. ლალიაშვილი, თ., 2015. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი: იურისტების სამყარო.
8. ლომსაძე, მ., 2015. სისხლის სამართლის პროცესი. მეხუთე გადამუშავებული გამოცემა. თბილისი: ბონა კაუზა.
9. მეიშვილი, ზ. და ჯორბენაძე, ო., 2007. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები (2006 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით). თბილისი: სეზანი.
10. მეურმიშვილი, ბ., 2015. სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება და განხორციელება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში (გამოძიების სტადიაზე). თბილისი: მერიდიანი.
11. ომხარელი, მ., 2018. მტკიცების არსი სისხლის სამართლის პროცესში და მისი მნიშვნელობა. მართლმსაჯულება და კანონი, 1 (57).

12. სოფრომაძე, ა., ვებგვერდის საშუალებით გაფორმებული ელექტრონული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://library.court.ge/upload/56582018-01-29.pdf> [წვდომის თარიღი 10.11.2025].
13. სოფრომაძე, ა., 2018. ვებგვერდის მეშვეობით დადებული ხელშეკრულება. სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://library.court.ge/upload/11852018-07-13.pdf> [წვდომის თარიღი 10.11.2025].
14. ფაფიაშვილი, ლ. და სხვები, 2017. საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი. თბილისი: მერიდიანი.
15. ფაფიაშვილი, ლ. და სხვები, 2015. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი. ამერიკის იურისტთა ასოციაცია. თბილისი.
16. ფაფიაშვილი, შ., 2013. კრიმინალისტიკა (ზოგადი ნაწილი), დანაშაულის გამოძიებისა და გახსნის მეთოდოლოგია, ტექნიკა, ორგანიზაცია და ტაქტიკა. სახელმძღვანელო. თბილისი: მერიდიანი.
17. ქათამაძე, ე., 2014. მტკიცების პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, 6, კავკასიის უნივერსიტეტი.
18. ჯორბენაძე, ო., 2007. სამოსამართლო სამართლის პრობლემა. თბილისი: ლეტა.
19. GARNER, JAMES, W., 1916. *CRIMINAL PROCEDURE IN FRANCE*. 25 YALE LAW JOURNAL, 4. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://openyls.law.yale.edu/server/api/core/bitstreams/4c3467d3-242c-4b5d-a402-c891adf62f9b/content> [წვდომის თარიღი 10.11.2025].
20. Prepared by the Victims Committee, Criminal Justice Section, American Bar Association, „THE VICTIM IN THE CRIMINAL JUSTICE SYSTEM“, June 2006.
21. Weigend, T, 2019. The Potential to Secure a Fair Trial Through Evidence Exclusion: A German Perspective, გვ. 61-91. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://scispace.com/papers/the-potential-to-secure-a-fair-trial-through-evidence-3auih9auw5> [წვდომის თარიღი 10.11.2025].
22. EncroChat in Germany: Berlin Court Rules Evidence Inadmissible. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://sugrobov.de/en/encrochat-in-deutschland-berliner-gericht-erklart-beweise-fur-unzulassig/?utm_source=copilot.com [წვდომის თარიღი 10.11.2025].

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/document/view/30346?publication=36> [წვდომის თარიღი 01.11.2025].
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=172> [წვდომის თარიღი 10.11.2025].
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=286> [წვდომის თარიღი 10.11.2025].
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/document/view/31882?publication=51> [წვდომის თარიღი: 10.11.2025].
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=135> [წვდომის თარიღი 10.11.2025].
6. აშშ-ს მტკიცების ფედერალური წესები. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.law.cornell.edu/rules/fre> [წვდომის თარიღი 10.11.2025].
7. რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_34481/ [წვდომის თარიღი 10.11.2025].
8. German Code of Criminal Procedure, paragraph 244 and 261. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stpo/englisch_stpo.html [წვდომის თარიღი 10.11.2025].

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება (საქმე №652აპ-15).

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება (საქმე №1075აპ-22).
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №417აპ-23).
4. სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე №1ბ/1314-23).
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №1/1/548).

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Amiranashvili, G., 2016. Mistake in the personality of the contractor caused by fraud. According to Anglo-Saxon law. Guram Nachkebia – 75th anniversary collection. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
2. Amiranashvili, G., 2013. Mistake in the personality of the contractor – a feature of the regulatory norm in Georgian legislation. Law Journal, 2. (in Georgian)
3. Giorgadze, G. and Baramidze, A., 2014. Criminal Procedure Code (a guide for lawyers). American Bar Association. Rule of Law Initiative (ABA ROLI). Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
4. Gurieli, A., 2016. The scope of the judge's authority as a means of ensuring a fair trial in the criminal justice process. Law and the World, 5. (in Georgian)
5. Gutsenko, K.F., Golovko, L.V. and Filomonov B.A., 2007. Criminal Justice Process of Western States. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
6. Jorbenadze, O., 2007. The problem of judicial law. Tbilisi: Letha. (in Georgian)
7. Katamadze, E., 2014. The problem of proof in the criminal justice process. Student Scientific Society 6, Caucasus University. (in Georgian)
8. Laliashvili, T., 2015. Criminal Procedure, General Overview. Tbilisi: Lawyers' World. (in Georgian)
9. Lomsadze, M., 2015. Criminal Procedure. Fifth Revised Edition. Tbilisi: Bona Causa. (in Georgian)
10. Meishvili, Z. and Jorbenadze, O., 2007. Commentaries on the Criminal Procedure Code of Georgia (as of December 31, 2006). Tbilisi: Sezani. (in Georgian)
11. Meurmishvili, B., 2015. Initiation and implementation of criminal prosecution in the Georgian criminal process (at the investigation stage). Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
12. Oshkhareli, M., 2018. The essence of evidence in the criminal process and its importance. Justice and Law, 1(57). (in Georgian)
13. Papiashvili, L. and others, 2017. Criminal Procedure Law of Georgia, Private Part. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
14. Papiashvili, L. and others., 2015. Commentary on the Criminal Procedure Code of Georgia. American Bar Association. Tbilisi. (in Georgian)
15. Papiashvili, Sh., 2013. Forensic science (general part), methodology, technique, organization and tactics of crime investigation and resolution. Textbook. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
16. Sopromadze, A., The legal nature of an electronic contract concluded through a website, [Online] available at: <http://library.court.ge/upload/56582018-01-29.pdf> [Accessed 10.11.2025]. (in Georgian)
17. Sopromadze, A., 2018. Contract concluded through the website, Master's thesis, Tbilisi. [Online] available: <http://library.court.ge/upload/11852018-07-13.pdf> [Accessed 10.11.2025]. (in Georgian)
18. Tumanishvili, G., 2014. Criminal Justice Process, General Review, Tbilisi: Lawyers' World. (in Georgian)
19. GARNER, JAMES. W., 1916. CRIMINAL PROCEDURE IN FRANCE. 25 YALE LAW JOURNAL, 4. [Online] available at: <https://openyls.law.yale.edu/server/api/core/bitstreams/4c3467d3-242c-4b5d-a402-c891adf62f9b/content> [Accessed 10.11.2025]. (in English)
20. Prepared by the Victims Committee, Criminal Justice Section, American Bar Association, "THE VICTIM IN THE CRIMINAL JUSTICE SYSTEM", June 2006. (in English)
21. Weigend, T, 2019. The Potential to Secure a Fair Trial Through Evidence Exclusion: A German Perspective, pp. 61-91. [Online] available at: <https://scispace.com/papers/the-potential-to-secure-a-fair-trial-through-evidence-3auih9auw5> [Accessed 10.11.2025]. (in English)

22. EncroChat in Germany: Berlin Court Rules Evidence Inadmissible, [Online] available at: https://sugrobov.de/en/encrochat-in-deutschland-berliner-gericht-erklart-beweise-fur-unzulassig/?utm_source=copilot.com [Accessed 10.11.2025]. (in English)

Normative Materials:

1. Constitution of Georgia. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/document/view/30346?publication=36> [Accessed 01.11.2025]. (in Georgian)
2. Criminal Procedure Code of Georgia. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=172> [Accessed 10.11.2025]. (in Georgian)
3. Criminal Code of Georgia. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=286> [Accessed 10.11.2025]. (in Georgian)
4. Criminal Procedure Code of Georgia. [Online] available at: <https://www.matsne.gov.ge/document/view/31882?publication=51> [Accessed 10.11.2025]. (in Georgian)
5. Civil Code of Georgia. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=135> [Accessed 10.11.2025]. (in Georgian)

6. US Federal Rules of Evidence. [Online] available at: <https://www.law.cornell.edu/rules/fre> [Accessed 10.11.2025]. (in Georgian)
7. Russian Criminal Procedure Code. [Online] available at: http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_34481/ [Accessed 10.11.2025]. (in Georgian)
8. German Code of Criminal Procedure, paragraph 244 and 261, [Online]. available at: chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stpo/englisch_stpo.pdf?utm_source=copilot.com [Accessed 10.11.2025]. (in Georgian)

Judicial Practice:

1. Decision of the Supreme Court of Georgia of 10 May, 2016 (Case No. 652AP-15). (in Georgian)
2. Decision of the Supreme Court of Georgia of 20 April, 2023 (Case No. 1075ap-22). (in Georgian)
3. Decision of the Supreme Court of Georgia of 22 June, 2023 (Case No. 417ap-23). (in Georgian)
4. Decision of the Court of Appeal of 21 June, 2024 (Case No. 1b/1314-23). (in Georgian)
5. Decision of the Constitutional Court of Georgia of 22 February, 2015 (Case No. 1/1/548). (in Georgian)